

29/12/2025



MES 8 25 0001853621

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 15.12.2025 წ;  
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;  
სხდომის დასრულების დრო: 20:45 სთ;  
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;  
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

**ნატო შეროზია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**მარინე ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

**ნათელა ლურსმანაშვილი** - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი;

**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

## **2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

## **3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

### **1) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება:**

ია ხალვაში - გაერთიანების დირექტორი;

ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი:

გიუზელ ნიჟარაძე - ხელმძღვანელი;

ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი:

ლილი გოგიტიძე - ხელმძღვანელი;

ალამბრის საბავშვო ბაღი:

ინგა მახარაძე - ხელმძღვანელი;

ჩაისუბნის საბავშვო ბაღი:

ინგა რიონიძე - ხელმძღვანელი.

### **ქობულეთის მერია:**

სულხან ნიჟარაძე - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

### **2) ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება:**

გიორგი იოზიძე - დირექტორი;

ნინო კუჭუხიძე - დირექტორის მოადგილე;

ქალაქ წყალტუბოს N2 საბავშვო ბაგა-ბაღი:

ფიქრია ჟორჟოლიანი - მენეჯერი;  
ქალაქ წყალტუბოს N24 საბავშვო ბაღი:  
ეკატერინე ბაბუნაშვილი - მენეჯერი;  
ქალაქ წყალტუბოს N3 საბავშვო ბაგა-ბაღი:  
თეა ჩიტია - მენეჯერი.

**3) ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება:**

რუსუდან დიასამიძე - გაერთიანების დირექტორი;  
სოფელ დღვანის საბავშვო ბაღი:  
იამზე თავდგირიძე - მენეჯერი;  
სოფელ ხიჭაურის საბავშვო ბაღი:  
მადონა არმენაძე - მენეჯერი.

**შუახევის მერია:**

ამირან ხიმშიაშვილი - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის - ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**4) ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი:**

ირმა გაბისონია - ცენტრის დირექტორი;  
დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი:  
ქეთო ნანავა - საბავშვო ბაღის მენეჯერი;  
ბანძის საბავშვო ბაღი:  
ეკა პატარაია - საბავშვო ბაღის მენეჯერი;  
ხუნწის საბავშვო ბაღი:  
ელზა თოფურია - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი):**

თინათინ გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
რიტა ნაკაშიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
თამარ ბერძენიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი):**

თინათინ გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
რიტა ნაკაშიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
თამარ ბერძენიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ალამბრის საბავშვო ბაღი):**

რუსუდან შავაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
ნათია მალაზონია - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
ჯულია მამალაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ჩაისუბნის საბავშვო ბაღი):**

რუსუდან შავაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
ნათია მაღაზონია - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
გულთამზე ხოროიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
ჯულია მამალაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ქალაქ წყალტუბოს N2 საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
სოფიო მოწონელიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
მარიამ გელხვიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ქალაქ წყალტუბოს N24 საბავშვო ბაღი):**

ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
სოფიო მოწონელიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
მარიამ გელხვიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ქალაქ წყალტუბოს N3 საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
სოფიო მოწონელიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
მარიამ გელხვიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება (სოფელი დღვანის საბავშვო ბაღი):**

თინათინ გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
ირმა გივრაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება (სოფელი დღვანის საბავშვო ბაღი):**

თინათინ გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
ირმა გივრაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი):**

ნინო ბენდელიანი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;  
ლელა ბექაური - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;  
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;  
მარინე ზარანდია - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი (ბანძის საბავშვო ბაღი):**

ნინო ბენდელიანი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;

ლელა ბექაური - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მარინე ზარანდია - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი (ხუნწის საბავშვო ბაღი):**

ნინო ბენდელიანი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;

ლელა ბექაური - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მარინე ზარანდია - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი;
2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი;
3. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ალამბრის საბავშვო ბაღი;
4. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ჩაისუბნის საბავშვო ბაღი;
5. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ქალაქ წყალტუბოს N2 საბავშვო ბაგა-ბაღი;
6. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ქალაქ წყალტუბოს N24 საბავშვო ბაღი;

7. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ქალაქ წყალტუბოს N3 საბავშვო ბაგა-ბაღი;
8. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება - სოფელ დღვანის საბავშვო ბაღი;
9. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება - სოფელ ხიჭაურის საბავშვო ბაღი;
10. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი - დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი;
11. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი - ბანძის საბავშვო ბაღი
12. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი - ხუნწის საბავშვო ბაღი.

## **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

### **• არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

## **პირველი საკითხის მოსმენა:**

### **ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაც ილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაც ილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 და 15 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ ნაწილი 1 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ ნაწილი 2 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5

წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; 2. „სასკოლო მზაობის პროგრამა“ „აქტივობათა კრებული“ ნაწილი 1; „სასკოლო მზაობის პროგრამა“, „აქტივობათა კრებული“ ნაწილი 2; „სასკოლო მზაობის პროგრამა“ თამაში -სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრას.

ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მამიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მამიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მამიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მამიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მამიებლის შენობის აშენებისა და რეაბილიტაციის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობა აშენდა ახალი პროექტით. 2023 წლის ბოლოს დასრულდა მშენებლობა.

საბჭოს წევრმა, ნატო შეროზიამ, ითხოვა დამატებითი განმარტება მეორე სტანდარტის კომპონენტთან 2.2. „კურიკულუმის განხორციელება“ დაკავშირებულ ხარვეზზე.

კურიკულუმის ექსპერტმა, რიტა ნაკაშიძემ, განმარტა, რომ 2.2 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულების სტატუსის მამიებელს არ ჰქონდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი რესურსი, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ნათლად იკითხება მითითებულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი, მარინა ბაიდაური, დაინტერესდა სადებიზინფექციო ხსნართან დაკავშირებული საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მამიებელი სადებიზინფექციოდ იყენებს ლიზოფორმინის ხსნარს, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ.

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, შოთა მახარაძემ, დამატებით განმარტა, რომ ვინაიდან შეფასების კითხვარში მითითებულია კონკრეტულად ქლორამინის ხსნარი და დაწესებულება არ იყენებს მას, შესაბამისად დაიწერა ხარვეზი. მან, ასევე, დაადასტურა, რომ ლიზოფორმინის ხსნარი ნამდვილად რეგისტრირებულია სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა წყლის მიწოდებისა და შესაბამისი სტანდარტული ოპერაციული პროცედურების საკითხით.

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, შოთა მახარაძემ, განმარტა, რომ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დოკუმენტში იყო წყლის მიწოდების

პროცედურასთან დაკავშირებული ხარვეზი, შესაბამისად, გაიცა რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა რელევანტური შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მესამე სტანდარტში გამოვლენილი ხარვეზით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომლის შესაბამისად შედგენილია საკომუნიკაციო გეგმა. ტექნიკური ხარვეზის გამო საკომუნიკაციო გეგმაში ცალკე საკითხად არ არის გამოყოფილი სტანდარტით გათვალისწინებული საკითხი, თუმცა შინაარსობრივად დაფარულია ყველა ძირითადი მიმართულება. თემთან განსახორციელებელი აქტივობები, აგრეთვე, გაწერილია გრძელვადიან გეგმებში და იკითხება სამოქმედო გეგმაშიც. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰყავს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც აქტიურადაა ჩართული პროცესებში. გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, შესაბამისი ყურადღება მიექცევა თემთან ურთიერთობის საკითხს, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სტანდარტის შესაბამისობა.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

გაერთიანების დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი სერტიფიკატები, თუმცა აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. ტრენინგი ჩატარებულია.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 13:53**

**დასრულების დრო - 14:00**

საბჭოს თავმჯდომარე კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8

პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ქობულეთის N1 საბავშვო-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 03 ნოემბრისა. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აქვე განაცხადა, რომ დოკუმენტების შესწავლისა და ზეპირ მოსმენაზე განხილული საკითხების გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მესამე სტანდარტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალოს შეფასებით - „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

### **მეორე საკითხის მოსმენა:**

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაც ილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაც ილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საბჭოს მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქობულეთის N6 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ნაწილი პირველი; მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში ნაწილი 2 პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; 2. „სასკოლო მზაობის პროგრამა“-თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო; სასკოლო მზაობის პროგრამა „აქტიუობათა კრებული“ ნაწილი I. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების

ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრას.

ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტში - როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ონკანთან და მენიუს საკითხთან დაკავშირებული ხარვეზით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ მენიუსთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრაზე უკვე დაწყებულია მუშაობა, გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა ბიუჯეტში, ხოლო ონკანებთან დაკავშირებული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია, შეიცვალა ონკანები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჭურჭელთან დაკავშირებული ხარვეზით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ აღმოფხვრილია აღნიშნული ხარვეზი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ჭურჭლით.

საბჭოს წევრი, მარინა ბაიდაური, დაინტერესდა სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ მიუხედავად განმეორებითი ექსპერტიზის შედეგად წყლის ხარისხის დადებითად შეფასებისა, დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფილია ნაყიდი წყლით, როგორც სასმელად, ასევე საკვების მომზადების კუთხით. საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებული საკითხითა და გაწერილი პროცედურებით.

გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად ეს საკითხი, ამ კუთხით, არ არის დუკუმენტიტ დარეგულირებული, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს ეთიკისა და ქცევის კოდექსი, რომლითაც ხელმძღვანელობს პერსონალი. თუმცა, ასევე, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ.

საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა შრომითი ხელშეკრულებების საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად, უკვე შექმნილია დოკუმენტი და 2026 წლიდან ყველა პერსონალთან გაფორმებული იქნება შრომითი ხელშეკრულება, რომლის ვადად განისაზღვრება ერთი წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ, რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ხელშეკრულების ვადა მორგებული იყოს სასწავლო წელს, რათა სასწავლო წლის შუა პერიოდში არ განხორციელდეს აღმზრდელის ცვლილება ჯგუფში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მესამე სტანდარტთან მიმართებით დამატებითი არგუმენტების არსებობის შესახებ.

გაერთიანების დირექტორმა, განმარტა, რომ ქობულეთის N6 საბავშვო ბაღში არის ქობულეთის №1 საბავშვო ბაღის ანალოგიური სიტუაცია მესამე სტანდარტთან მიმართებით. შესაბამისად,

გარდა იმ არგუმენტებისა, რომლებიც უკვე გაჟღერებულ იქნა, დამატებითი არგუმენტი გაერთიანებას არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მამიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 14:36**

**დასრულების დრო - 16:44**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ქობულეთის N6 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 15 სექტემბრისა. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აქვე განაცხადა, რომ დოკუმენტების შესწავლისა და ზეპირ მოსმენაზე განხილული საკითხების გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მესამე სტანდარტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალოს შეფასებით - „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**მესამე საკითხის მოსმენა:**

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ალამბრის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო

გიუაშვილი. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რუსუდან შავაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების აღამბრის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი 1 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში” ნაწილი 2 მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. 2. „სასკოლო მზაობის პროგრამა” „აქტივობათა კრებული” ნაწილი 1; „სასკოლო მზაობის პროგრამა”, „აქტივობათა კრებული” ნაწილი 2; „სასკოლო მზაობის პროგრამა” თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 105. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 66 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, რუსუდან შავაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ აღამბრის საბავშვო ბაღის პერსონალის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს პროგრამა „პოზიტიური მშობლობა“, რომლის მიზანია მშობელთა ცნობიერების ამაღლება, მშობელსა და შვილს შორის პოზიტიური ურთიერთობისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა, წიგნის კითხვისა და თამაშის მნიშვნელობა.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურებთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგალითად, განიავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დოკუმენტი მოწესრიგებულია, დარჩენილ ნაწილთან მიმართებით ხარვეზები აღმოიფხვრება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში.

საბჭოს წევრი, ნატო შეროზია, დაინტერესდა ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგები. იგეგმება ტრენინგის ორგანიზება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა.

საბჭოს წევრმა, მარინა ბაიდაურმა, გააჟღერა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქვს დამტკიცებული გზამკვლევი - „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში“, სადაც დეტალურად წერია ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და ყოველთვიურად რა სუფთავდება ბაღში. ეს ის დოკუმენტია, რომელიც ძალიან დაეხმარება საბავშვო ბაღებს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შედგენისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 15:13**

**დასრულების დრო - 15:17**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ალამბრის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 105-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების

გაერთიანებას (ალამბრის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით იმ პირობის დაცვით, რომ შესაბამისი რესურსების და ინვენტარის შეძენამდე დაწესებულების სტატუსის მამიებელი განახორციელებს საქმიანობას 66 ბავშვისთვის.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 03 ნოემბერი.

### **მეოთხე საკითხის მოსმენა:**

#### **ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ჩაისუბნის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა რომ საპატიო მიზეზის გამო, საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, მარინე ბაიდაურმა. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რუსუდან შავაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ჩაისუბნის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 და 15 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2- დან 5 წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისათვის პირველი და მეორე ნაწილი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი და მეორე ნაწილი, თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 69 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, რუსუდან შავაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მამიებელი პირველ, მეორე და მესამე

სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტში შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პერსონალს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საერთაშორისო კონფერენციაში „ადრეული განათლება და ზრუნვა“, სადაც წარადგინეს საკუთარი გამოცდილება ბავშვებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების მიმართულებით, რაც საუკეთესო პრაქტიკის კარგ მაგალითად შეფასდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მოუწია ორ ადგილზე მუშაობა, უშუალოდ საავტორიზაციო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობა ექვემდებარებოდა აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე და სააღმზრდელო პროცესი ხორციელდებოდა ყოფილი ინტერნატის შენობაში, თუმცა ამას ექსპერტული საქმიანობისთვის ხელი არ შეუშლია. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ხარჯთაღრიცხვა და გაწერილი დოკუმენტები წარმოადგინა, თუმცა ტენდერი არ იყო გამოცხადებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, განაცხადა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აქტივობის შესრულების ვადად მითითებულია 24 თვე, ხოლო დასრულების თარიღად მითითებულია 2028 წელი, ნაცვლად 2027 წლისა. აღნიშნულ განცხადებას დაეთანხმა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შენობის რეაბილიტაციის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ გაიგზავნა წერილი მერიამში, გამოიყო ექსპერტთა ჯგუფი, შემოწმდა შენობა და დადგინდა, რომ გამაგრებითი სამუშაოები იყო საჭირო. მერიის დახმარებით მოხდა ალტერნატიული შენობის მოძიება. საავტორიზაციო ბაღში გაზაფხულზე დაიწყება რეაბილიტაცია და იმედი გამოთქვა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ახალ შენობაში მოხერხდება სააღმზრდელო პროცესის განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დამატებითი განმარტება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისაგან.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სულხან ნიჟარაძემ, განაცხადა, რომ შესყიდულია პროექტი, წელს დაიწყება რეაბილიტაციის პროცესი და ტენდერი უკვე გამოცხადებულია. დასრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:59

დასრულების დრო - 16:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ჩაისუბნის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 3

### **გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხის გათვალისწინებით, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ჩაისუბნის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 03 ნოემბრისა. ასევე, საბჭომ, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს განუსაზღვრა, რომ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ჩაისუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოცხადებულია ტენდერი შესაბამისი თანხებისა და ვადების მითითებით, არაუგვიანეს 2026 წლის 15 თებერვლისა.

### **მეხუთე საკითხის მოსმენა:**

**ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ქალაქ წყალტუბოს N2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრმა, მაკა მაისურამემ, დროებით დატოვა საბჭოს სხდომა. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქალაქ წყალტუბოს N2 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმში თამაში პირველი და მეორე ნაწილი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 118 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტში შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტში შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მარტივად, მცირე დროში აღმოფხვრად ხარვეზებთან დაკავშირებული საკითხით.

გაერთიანების დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზების ნაწილი უკვე აღმოფხვრილია. მაგალითად, ინტერნეტი, სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, კვებასთან დაკავშირებული საკითხები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, კურიკულუმთან დაკავშირებული ტრენინგები, წარმოდგენილია სავალდებულო ცნობები ყველა თანამშრომლის მიერ. ასევე, განაცხადა, რომ იცვლება ხელშეკრულებები და სტანდარტით მოთხოვნილი ყველა საკითხი იქნება გათვალისწინებული მასში. ეზოს მოწყობასთან დაკავშირებულ ხარვეზზე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად მოხდა საკითხის განხილვა და ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული შესაბამისი თანხა.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ბავშვის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხით.

გაერთიანების დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ ბავშვის შეფასებისთვის შემუშავებულია ფორმები, შედგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი სპეციალისტის აყვანა გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულების სტატუსის მაძიებლისთვის, გამოყოფილია შტატიც და თანხაც ამისთვის.

